

„სადღესასწაულოს“, „თვენისა“ და „იადგარის“ ტიპოლოგიური მიმართებები და
დიგიტალური გამოცემის საკითხი

გიორგი ლომსაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია,
ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დობორჯგინიძე, დოქტორი

ირინა ლობჯანიძე, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

გიორგი ლომსაძე

05.07.2020

მადლობა

ავტორის განსაკუთრებული მადლობა ხელმძღვანელებს — პროფესორ ნინო დობორჯგინიძესა და პროფესორ ირინა ლობჯანიძეს. მათი მოთმინების, თანადგომისა და რჩევების გარეშე ნაშრომის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა.

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ქართული ლიტურგიული ისტორიის სამ მნიშვნელოვან პერიოდში შექმნილი კრებულები („იადგარი“, „თვენი“, „სადღესასწაულო“) და მათი ტიპოლოგია.

კვლევის მიზანია, აჩვენოს აღნიშნულ რედაქციებს შორის ტიპოლოგიური განსხვავებების შესაძლო მიზეზები.

ნაშრომის კვლევითი ჰიპოთეზაა, რომ ცვლილებები ხორციელდებოდა პრაქტიკული მიზნებით, რეპერტუარის ზრდისა და საკუთრივ ღთისმსახურების წარმართვისას გაჩენილი საჭიროებებით.

კვლევის ნაწილია კრებულთა ანოტირებული დიგიტალური გამოცემა (<http://manuscript.iliauni.edu.ge:8080/exist/apps/GMLC/index.html>), რათა არსებულიყო ავთენტური ტექსტობრივი ბაზისი. მნიშვნელოვანია, რომ გამოცემისას თითოეულ ხელნაწერს მინიჭებული აქვს თავისთავადი მნიშვნელობა. Sin. 7-ისა და Sin. 40-ის ტექსტობრივი მასალა გათანაბრებულია კონგრესის ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე განთავსებულ ხელნაწერების ფოტო პირებთან. დიგიტალურ ბაზაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა რედაქციებს შორის ობიექტური მიმართებების გამორკვევა.

აღსანიშნავია, რომ სამივე კრებული განსხვავდება ერთმანეთისგან სტრუქტურული თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ეკუთვნის სხვადასხვა ლიტურგიკულ სინქრონიას. იადგარული ტიპის კრებულებიდან სათვეო ნაწილის ცალკე გამოტანა მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორმით. ელენე მეტრეველი აღნიშნავდა, რომ იერუსალიმური ტიპიკონის ნაცვლად კონსტანტინოპოლის დომინირებამ განაპირობა „იადგარული“ რედაქციების პრაქტიკიდან ამოღება.

ბერძნული და სლავური „თვენის“ კლასიფიკაციის საფუძველზე ირკვევა, რომ გიორგი მთაწმიდლის რედაქცია ახლოს დგას ე.წ. ინოვაციურ ტიპთან, ხოლო ანტონისეული რედაქცია — ახალ საბაწმიდურთან.

შეიძლება ითქვას, რომ საღვთისმსახურო ტიპიკონის ცვლილება არაა ერთადერთი განმაპირობებელი მიზეზი ახალი ტიპის საღვთისმსახურო კრებულის გაჩენისა.

ლიტურგიულ კრებულებში სათვეო აკოლუთიების ფორმა მუდმივად ვითარდებოდა პრაქტიკული დანიშნულებით. მულტიკულტურულ სტრუქტურულ ტიპოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს როგორც ქართულ „იადგარს“, ასევე, „თვენსა“ და „სადღესასწაულოს“.

Abstract

The thesis aims to the typology of three important liturgical redactions (“Tropologion”, “Menaion”, “Festal Menaion”) from different periods of Georgian liturgical history.

The statement of the research is to show reasons of typological differences between three redactions.

The research hypothesis is that differences were made because of practical purposes. The reason of practical differences was increase in repertoire and needs appeared during liturgy.

The important part of the research is digital anotated publication of the redactions <http://manuscript.iliauni.edu.ge:8080/exist/apps/GMLC/index.html>), which is authentic textual basis.

Each manuscript or published text publication is intended as independent and valuable source.

Texts of Sin. 7 and Sin. 40 manuscripts are linked to images of Congress Library. Using digital base helped to determine objective connections between redactions.

It’s important that those three redactions differ by structure. We can say that they belong to various liturgical synchrony. Deconstruction process of “Tropologion” was complex. Elene Metreveli noted that domination of Constantinople “Typicon” over Jerusalemite caused take out of “Tropologion” from practical use.

Based on Greek and Slavic classification of “Menaion”, we can conclude that redaction of George the Athonite is close to the Innovative type and the redaction of Anton Catholicos is almost similar to the neo Sabaitic type.

As conclusion, we can say that changes in liturgic “Typicon” isn’t the only reason of creating new liturgical redactions. Over time formation of “Menaion” was conditioned by practical needs. Georgian “Tropologion”, “menaion” and “Festal Menaion” have important place in multicultural structural typology of liturgical books.